პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 22 ივლისი, 1947 წ. № 145 (7929). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მოსავლის უდანაკარგოდ აღება საყოველთაო სახალხო საქმეა—მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნისათვის (1-ლი გვერდი).
ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი (1-ლი და მე-2 გვერდი).
მ. დელბა — საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებისა და შოფერთა კადრების მომზადების შესახებ (მე-2 გვერდი).
ა. კოკილაშვილი — მკა მთავრდება, ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება ჭიანურდება (მე-3 გვერდი).
ვ. ბურჯანაძე — ფართოდ გავშალოთ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა მოსავლის აღებაზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მოსავლის უდანაკარგოდ აღება საყოველთაო სახალხო საქმეა

მთელს რესპუბლიკაში მასობრივად არის გაჩაღებული თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. მოწინავე კოლმეურნეობები პირველ განალეწ მარცვლეულს დამამზადებელ პუნქტებში გზავნიან და ვადამდე ასრულებენ პურის დამზადების 1947 წლის სახელმწიფო გეგმას. უხვი მოსავლისათვის ბრძოლა დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ენერგიულად იბრძვიან დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის შესასრულებლად, „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ" საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიული დადგენილების განსახორციელებლად.

ბოლშევიკური პარტია, ამხანაგი სტალინი სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან მოითხოვენ უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებას. პურეულის უდანაკარგოდ აღება დიდმნიშვნელოვანი საყოველთაო სახალხო საქმეა. დავიცვათ მოსავალი დანაკარგისაგან — ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა იმას, რომ მკა, ძნებად შეკვრა, დაზვინვა, გალეწვა, კალოზე მარცვლის გაწმენდა-დახარისხება, მარცვლის გატანა დამამზადებელ პუნქტებსა თუ საკოლმეურნეო ბეღლებში—მთელი ეს სამუშაოები ჩავატაროთ ორგანიზებულად, მოკლე ვადებში. საჭიროა გადაჭრით გავაძლიეროთ მოსავლის აღების ტემპი. დროის ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსავლის სწრაფად, ორგანიზებულად აღებისათვის.

ბევრგან კარგად არის მოწყობილი მოსავლის აღების სამუშაოთა ყველა ეტაპზე დანაკარგებთან ბრძოლა. შედეგიც ჩინებულია. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სოფელ თელის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში პური დროულად მომკეს, ძნებად შეჰკრეს, დაზვინვეს და გალეწეს. კოლმეურნეობამ პირველი განალეწი მარცვლეული სახელმწიფოს ჩააბარა. მთელ აღებულ ფართობზე აქ დაუყოვნებლივ მოაწყეს თავთავის შეგროვება ცხენისა და ხელის ფოცხებით, თავთავები ხელითაც შეაგროვეს, რისთვისაც გამოიყენეს მოზარდები, პიონერები, მოხუცი კოლმეურნეები. კარგად მიმდინარეობს პურის დანაკარგებთან ბრძოლა სოფელ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ თავთავების კრეფაში ჩაბმული იქნა ასობით მოსწავლე, ქალი და მოხუცი. პურის მოსავალი უდანაკარგოდ აიღო თელავის რაიონის სოფელ სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ თავთავის შეგროვებაზე 96 მოზარდი, მოხუცი და მოსწავლე მუშაობდა. ასეთი მაგალითები ბევრია.

სამწუხაროდ, ყველგან როდი ესმით დანაკარგებთან ბრძოლის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ამ საქმის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ და დიდძალი პური იკარგება. გარდაბნის რაიონის სოფელ ერთობის კოლმეურნეობა „მსოფლიო ოქტომბერში" მოსავლის აღება 108 ჰექტარზე დიდი ხანია დაამთავრეს, მაგრამ 60 ჰექტარზე თავთავი სულ არ აუკრეფიათ. ერთ კვადრატულ მეტრზე 15-20 ცალი თავთავია. ეს კი ჰექტარზე 10-12 ფუთი მარცვლეულის დანაკარგს შეადგენს. გურჯაანის რაიონის სოფელ ურიათუბნის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში" და სოფელ ახაშნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ყანებში თავთავის შესაგროვებლად თავს არ იწუხებენ. სუსტად არის მოწყობილი დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებშიც.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს პურეულის აღების დასაჩქარებლად გამოვიყენოთ ყველა საშუალება, დაწყებული კომბაინით და დამთავრებული ნამგლით. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, მტს-ებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მოაწყონ ყოველდღიური ბრძოლა დანაკარგებთან, მოსავლის უსასტიკესი დაცვა მომკამდე, აღების, გალეწვის, გადაზიდვისა და შენახვის დროს.

საჭიროა დავიცვათ ყველა პირობა პურეულის დანაკარგის ასაცილებლად. რა პირობებია ეს?

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კომბაინებს და მოსავლის აღებ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს დაუყოვნებლივ გავუკეთოთ მარცვალშეკრები. კომბაინერებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან პურის მაღლა მოჭრა, ჩაწოლილი პურის უდანაკარგოდ აღებისათვის კომბაინს გაუკეთონ სპეციალური მოწყობილობა. მარტივი მანქანებითა და ხელით პურის აღებისთანავე მოვაწყოთ ძნებად კონვა და ბულულებად, ძირებად, ათეულებად დადგმა და დაზვინვა. თავთავის გულმოდგინედ აკრეფის სამუშაოში უნდა მოზარდებთან ერთად მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოსწავლენი. უწესივრობის შედეგად კომბაინების იძულებითი გაცდენისას პურეული ავიღოთ მარტივი მანქანებითა და ხელით, რათა არ დავუშვათ მარცვლის ჩაცვენა.

მეორე. არ დავაგვიანოთ ლეწვა. მოვაწყოთ მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა რთული და ცხენით მომუშავე სალეწი მანქანის სადღეღამისო მუშაობა. ლეწვის დასაჩქარებლად გამოვიყენოთ აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალა.

მესამე. აღებული ნაკვეთი, როგორც წესი, უნდა ჩაიბარონ მემინდვრეობის ბრიგადირებმა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა. ჩაბარებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსავლის აღების ხარისხს, არ დაუშვან მინდვრად თავთავის დატოვება.

მეოთხე. უზრუნველვყოთ კომბაინებიდან და სალეწი მანქანებიდან მიღებული მთელი ტენიანი მარცვლის დაუყოვნებლივ გაშრობა კალოებსა და საშრობებზე, არ დავუშვათ გროვებში მარცვლის ჩახურება.

მეხუთე. მომკამდე, აგრეთვე მომკილი და ბულულებად და ზვინებად დადგმული პურეულის დაცვა უნდა მივანდოთ პატიოსან და შემოწმებულ ადამიანებს. დაცვაში გამოვიყენოთ აგრეთვე სოფლის ახალგაზრდობა, გავაძლიეროთ კონტროლი პურის დაცვისადმი.

დაბოლოს, დავაწესოთ მიღებული მოსავლის უსასტიკესი აღრიცხვა მისი აღების ყველა სტადიაში. პური ავწონოთ აუცილებლად სალეწ მანქანებთან, კომბაინებთან და ბეღლებში მისი მიღების დროს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლისის პლენუმმა პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად დასახა მოსავლის სწრაფად, უდანაკარგოდ აღება. საჭიროა სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ პლენუმის გადაწყვეტილების ბოლშევიკურად განხორციელებისათვის.

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ მინდვრად სოციალისტური შეჯიბრება, არ დავკარგოთ არცერთი თავთავი, ვადამდე შევასრულოთ პურის დამზადების გეგმა, ასეთია მარცვლეულის რაიონების მუშაკთა ღირსებისა და სახელის საქმე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის მარშალ ვ. დ. სოკოლოვსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის მარშალ ვ. დ. სოკოლოვსკის დაბადების ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და სსრ კავშირის სახელმწიფოსა და შეიარაღებული ძალების წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით ამხ. ვასილ დანილას-ძე **სოკოლოვსკი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1947 წლის 20 ივლისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გახსნისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს II სესია გაიხსნება ამა წლის 22 ივლისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის შენობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს 21 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობაში (ოთახი № 3) დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე; 22 ივლისს დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 6 საათამდე იქვე, ხოლო საღამოს 6 საათიდან გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის შენობაში.



ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი სასპორტო დღესასწაული ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1947 წლის 20 ივლისს სურათებზე: (მარცხნიდან მარჯვნით): თავისუფალი ამერიკული ჭიდაობის მომენტი შტანგისტ გელოვანის გამოსვლა; მორიგი შეხვედრა კრივში; სააგიტაციო მოტოგადარბენის მონაწილენი მოედანზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი

მოსკოვი, 20 ივლისი, 1947 წელი

20 ივლისს საბჭოთა ხალხმა აღნიშნა ახალგაზრდობის ტრადიციული დღესასწაული — ფიზკულტურელის საკავშირო დღე. მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე ამ დღეს შესდგა ფიზკულტურელთა დიდი საკავშირო პარადი. ეს იყო სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის ურღვევი ძალის, სიყვარულისა და სასპორტო წრთობის მძლავრი დემონსტრაცია.

საბჭოთა ხალხი ამაყობს ახალგაზრდობით, რომელმაც თავისი საბრძოლო და შრომითი საგმირო საქმეებით ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა გერმანელ და იაპონელ დამპყრობლებზე დიდი გამარჯვების ისტორიაში. საბჭოთა ხალხი ამაყობს ახალგაზრდა სპორტსმენებით, რომლებიც ახლა მონაწილეობენ ომისშემდგომ მშენებლობაში, ადიდებენ ჩვენს სამშობლოს ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით, ახალი სასპორტო მიღწევებითა და რეკორდებით.

ფიზკულტურელთა პარადმა ერთხელ კიდევ დამაჯერებლად ცხადჰყო ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობა, რომლის განვითარებაზე დაუღალავად ზრუნავენ პარტია და მთავრობა.

დილაადრიანვე ცისფერმა, მწვანე, წითელმა, ლურჯმა მაისურებმა აჭრელეს დედაქალაქის მაგისტრალები...

ჩვენი ქვეყნის მთავარი სტადიონის ვეებერთელა მოედანი კაშკაშა სადღესასწაულო ფერებშია. იგი მოგვაგონებს გიგანტურ, გაშლილ ყვავილს ათასი სხვადასხვაფერი ფურცლით. ტრიბუნების თავზე ფრიალებს სასპორტო საზოგადოებათა ასობით ბაირაღი და ალამი. განსაკუთრებით მორთულია სტადიონის სამხრეთი ტრიბუნა. მის თავზე აღმართულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი, მოკავშირე რესპუბლიკათა გერბები, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ვეებერთელა პორტრეტები. პორტრეტებს შუა წითელი ტრანსპარანტია: „გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) — ლენინ-სტალინის პარტიას!".

ცისფერი ტრიბუნები აივსო ათიათასობით სტუმრებით.

სტადიონის ღიამწვანე ხალიჩაზე ლამაზ სწორკუთხედებად ჩამწკრივდნენ სპორტსმენები — პარადის მონაწილენი. სტადიონზე არ სწყდება ძლიერი გუგუნი.

აღმოსავლეთ ტრიბუნაზე საათის ვეებერთელა ისრები 2-ს უახლოვდებიან. ცენტრალურ ლოჟაში გამოჩნდნენ ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია, ა. ა. ჟდანოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, გ. მ. მალენკოვი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ა. კუზნეცოვი, მ. ა. სუსლოვი, მ. ფ. შკირიატოვი.

საერთო მოძრაობა, ერთიანი აღტაცებით ყველანი ფეხზე დგებიან... ათიათასობით სტუმრები და პარადის მონაწილენი ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების ლოჟაში გამოჩენას აღფრთოვანებული ოვაციით ეგებებიან. ტრიბუნები, სპორტსმენთა კოლონები მქუხარედ უკრავენ ტაშს, მხურვალედ მიესალმებიან დიდ ბელადსა და მხედართმთავარს, საბჭოთა ფიზკულტურელების საუკეთესო მეგობარს. სტადიონის კიდითკიდემდე გრგვინავს ხმამაღალი „ვაშა".

მთავრობის ლოჟაში იმყოფებიან მოსკოვში მყოფი ბულგარეთის დიდი სახალხო კრების თავმჯდომარის მოადგილეებს ბ-ნებს რ. დამიანოვს, პ. კ. პაუნოვს და ა. დ. ატანასოვს, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალ-პოლკოვნიკ ენვერ ხოჯას.

ჩრდილოეთ ტრიბუნის ლოჟებშია ბულგარეთის დიდი სახალხო კრების დეპუტატთა დელეგაცია. აქვეა ალბანეთის მთავრობის დელეგაცია.

ლოჟებში ადგილები დაიკავეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიწვევით მოსკოვში ჩამოსულმა სტუმრებმა — საერთაშორისო სასპორტო ორგანიზაციების თვალსაჩინო მოღვაწეებმა, დიდი ბრიტანეთის, ფინეთის, დანიის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, ალბანეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, ავსტრიის სასპორტო მოძრაობის ხელმძღვანელებმა, აგრეთვე უცხოეთის ქვეყნების სხვა სასპორტო მოღვაწეებმა და სპორტსმენებმა.

დღის ორი საათია. პარადის სარდალი პოლკოვნიკი კუზნეცოვი იძლევა ბრძანებას: „სმენა!" სპორტსმენთა მრავალათასიანი კოლონები უძრავად დგანან, მოედანზე გამოდიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნ. ნ. რომანოვი, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვი. პოლკოვნიკი კუზნეცოვი მათ უპატაკებს პარადისათვის ფიზკულტურელთა მზადყოფნის შესახებ. ამხ. რომანოვი მიესალმება სპორტსმენებს და ულოცავს დღესასწაულს. პასუხად გაისმის მძლავრი „ვაშა". შემდეგ ამხ. რომანოვი ადის ცენტრალურ ტრიბუნაზე და წარმოსთქვამს მისასალმებელ სიტყვას.

ამხ. ნ. ნ. რომანოვის სიტყვა

ამხანაგო ფიზკულტურელებო!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის სახელით მოგესალმებით და გილოცავთ ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

ფიზკულტურელის საკავშირო დღესასწაული ტარდება უდიდესი პოლიტიკური აღმავლობისა და მშვიდობიანი შრომის ფრონტზე საბჭოთა ხალხის ახალ გამარჯვებათა ვითარებაში, თვითეულ დღეს ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხიდან მოაქვს სასიხარულო ცნობები, საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობაზე ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის გეგმის შესრულების დარგში. ამაში გამოიხატება ჩვენი ხალხის ღრმა პატრიოტიზმი და მაღალი პოლიტიკური შეგნება, მისი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი და საბჭოთა მთავრობისადმი.

ამხანაგებო, პარადის მონაწილენო! თქვენ, ფიზკულტურელთა მრავალმილიონიანი არმიის წარმომადგენლებს, თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებს წილად გხვდათ დიდი პატივი გვიჩვენოთ დღეს საბჭოთა ახალგაზრდობის სასპორტო ოსტატობა, მგზნებარე პატრიოტიზმი, უდიდესი სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, მშობლიური ამხანაგი სტალინისადმი.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობს. მასზე ზრუნავენ საბჭოთა მთავრობა, ბოლშევიკური პარტია, პირადად ამხანაგი სტალინი.

ჩვენი ამოცანაა — დაუღალავად განვავითაროთ ფიზიკური კულტურა და სპორტი, როგორც ნამდვილად მასობრივი საყოველთაო სახალხო მოძრაობა, სრულყოფილი გავხადოთ საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობა, ვიბრძოლოთ ახალი საკავშირო და მსოფლიო რეკორდებისათვის ჩვენი სამშობლოს სადიდებლად.

ჩვენი ამოცანაა — ვამზადოთ ახალგაზრდა თაობა შრომისათვის, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის, აღვზარდოთ ძლიერი, გამბედავი საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელსაც არ ეშინია სიძნელეების და ბოლომდე ერთგულია ლენინ-სტალინის დიადი საქმისა.

ნება მიბოძეთ პარადის მონაწილეთა და ყველა ფიზკულტურელის სახელით პირობა მივცე ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ამხანაგ სტალინს, რომ საბჭოთა ფიზკულტურელები იქნებიან საბჭოთა სახელმწიფოს 30-ე წლისთავისათვის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში და, ერთი ნებით, ერთიანი მისწრაფებით შემჭიდროებულნი მთელ თავიანთ ცოდნასა და ძალას მოახმარენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრულ გამარჯვებას.

გაუმარჯოს საბჭოთა ფიზკულტურელებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და ჩვენს ძლევამოსილ სამშობლოს!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) — ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს დიდ სტალინს!

ვაშა!

ამხ. რომანოვის უკანასკნელი სიტყვები იფარება ათეული ათასი ახალგაზრდის „ვაშას" ძახილით ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, რასაც ერთდება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის საზეიმო ხმები.

კვლავ გაისმის ბრძანების სიტყვები და ჩამოვარდნილ სიჩუმეში მებუკეები იძლევიან საზეიმო მარშის დაწყების სიგნალს. ჩრდილოეთის ტრიბუნის წინ, სადაც მთავრობის ლოჟაა, ჩაივლიან სასპორტო დელეგაციები, რომელნიც მოსკოვს ჩამოვიდნენ დიდი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.

...საზეიმო პარადს იწყებს მეწინავე კოლონა. ფიზკულტურელთა ჯგუფს მოაქვს ვეებერთელა, ოქროსფრად მბრწყინავი, სსრ კავშირის რელიეფური გერბი. კოლონას მოაქვს 16 მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები, ლენინისა და სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, სასპორტო საზოგადოებათა დროშები.

პირველი მოდის რუსეთის ფედერაციის ფიზკულტურელთა, საბჭოთა სპორტის ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმის დელეგაცია. მაღლა უჭირავთ ალისფერი ხავერდი, რომელზედაც დაწერილია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის სიტყვები:

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს.

დიდი რუსი ხალხის ვაჟიშვილები და ქალიშვილები ტრიბუნას ჩაუვლიან ზუსტი, მტკიცე ნაბიჯით. ათასობით სტუმრები აღტაცებით შესცქერიან ახალგაზრდა სპორტსმენებს, მათ შესანიშნავ წრთობას, ჯანმრთელობასა და სილამაზეს.

წყნარად შრიალებს მრავალფეროვანი დროშების ტყე. მოდიან უკრაინის სპორტსმენები... ფერადკაბიანი ქალიშვილები და მოქარგულპერანგიანი ჭაბუკები საყოველთაო აღტაცებას იწვევენ. მათ ხელში უჭირავთ ტრანსპარანტები, უკრაინის სიმდიდრის: პურის, ლითონის, ქვანახშირის სიმბოლოები.

უკრაინის დელეგაციას სცვლიან ახალგაზრდა ბელორუსები. ისინი მოდიან გეომეტრიულად ზუსტი სწორკუთხედით. კოლონის წინ ამხანაგ სტალინის ვეებერთელა პორტრეტია, რომელიც მორთულია ცოცხალი ყვავილებით.

გაისმის საბჭოთა ხალხის საყვარელი სიმღერების მელოდიები.

ბელორუსებს სცვლიან უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის სპორტსმენები... სტადიონის წრეზე მოდიან მზით დამწვარი ჭაბუკები და ქალიშვილები, ფერადფერად ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილნი. როცა ჩრდილოეთის ტრიბუნას ჩაუვლიან, მათი თვალები მიპყრობილია იქ, სადაც იმყოფება დიდი სტალინი, ადამიანი, რომელსაც ახალგაზრდობა უმადლის თავის ბედნიერებას.

მოკავშირე რესპუბლიკათა სპორტსმენების დელეგაციებს მოჰყვებიან ქალაქ მოსკოვის მოსწავლეთა, პროფკავშირების სასპორტო საზოგადოებათა ფიზკულტურელები, ჩვენს ქვეყანაში პოპულარული კლუბების „დინამოსა" და „სპარტაკის" კოლონები. მათ მოაქვთ დროშები ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით. საზეიმო მარშს ამთავრებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სპორტსმენთა კოლონა. მოდიან ნორჩი სუვოროველები და წინ მოაქვთ ალისფერი შტანდარტი დიდი რუსი მხედართმთავრის გამოხატულებით. ნახიმოველ ფიზკულტურელთა წინ — თეთრ დროშაზე ზღვის ცისფერი ზოლით — სახელგანთქმული ადმირალის პორტრეტია. მწყობრად მოაბიჯებენ „ცდკას" და სამხედრო-საჰაერო ძალების სპორტსმენები. ამხანაგი სტალინი ხელის აწევით მიესალმება საბჭოთა არმიის სახელოვან მეომრებს.

პარადი დამთავრდა.

ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა საზეიმო მარშის მელოდიები, რომ სტადიონის ვეებერთელა მინდორს ბავშვები დაეუფლნენ. სასპორტო მიღწევათა დათვალიერების გახსნის პატივი წილად ხვდათ ყველაზე ნორჩ სპორტსმენებს— მოსკოველ მოსწავლეებს.

მწვანე ხალიჩა წამში ივსება ალისფერ პიონერულ ყელსახვევიანი ასობით ბიჭუნებითა და გოგონებით. მხიარული, ცოცხალი ბავშვები გუნდ-გუნდად გამორბიან სამხრეთ ტრიბუნიდან მოედნის ცენტრისაკენ, და უცბად ყველაფერი ცოცხლდება, ყველაფერი მოძრაობაში მოდის. სტადიონზე გაისმის ამხანაგ სტალინისადმი მისალმების წკრიალა ხმები.

ტრიბუნებზე მქუხარე ტაშია, როცა 1600 ნორჩი ფიზკულტურელი, რომლებიც მინდორზე გაფანტულან, მსუბუქად და სწრაფად ასრულებს რთულ ვარჯიშს. ათიათასობით თვალი აღტაცებით უყურებს ხაუცხოო გარდაქმნებს სტადიონზე. მწვანე ხალიჩაზე უცბად წარმოიშვება ცოცხალი კლუმბები და თვითეულ მათგანში ნორჩი შემსრულებლები ასრულებენ ნარნარ მოძრაობას. გადის წამი და მინდორზე წარმოიშვება პიონერთა ბანაკი კარვებით.

იცვლება მუსიკის ტემპი და უცბად გასაოცარი სისწრაფით იცვლება ნახატი მწვანე ხალიჩაზე. ჩვენ ვხედავთ პატარა ფიგურებიდან შემდგარ ციფრს 800 — დედაქალაქის საიუბილეო თარიღს. სტადიონის ცენტრში, სწორედ ჩრდილოეთი ტრიბუნის პირდაპირ, იქმნება ფართო ხეივანი, რომელიც გარშემოვლებულია მწვანე ჰირლანდებით. ამ ხეივნით მთავრობის ლოჟისაკენ მირბიან ბიჭი და გოგო. მათ ხელში აქვთ ყვავილების ვეებერთელა თაიგულები. ყველა დამსწრეთა თვალი ამ ორ პაწაწაზეა მიპყრობილი. მოსკოვის პიონერთა და მოსწავლეთა სახელით ისინი ყვავილებს გადასცემენ ამხანაგ სტალინს.

გამოდის ესტონეთის სსრ დელეგაცია. მსუბუქი და ნაზია თეთრ აბრეშუმის კოსტუმიან ქალიშვილთა თავისუფალი მოძრაობა, მტკიცე და ნარნარია ჭაბუკთა ვარჯიში ბადიარების ნიჩბებით. ერთერთი ასეთი ვარჯიში ჰქმნის რეიანს—ნიჩბის აკადემიური ოსნობის გარეგნულ სახეს, რომელშიც ესტონეთის ახალგაზრდობამ დიდ წარმატებებს მიაღწია. თავიანთი გამოსვლის დასასრულს ესტონელი ფიზკულტურელები ჰქმნიან ფიგურას, რომელიც მოგვაგონებს ალმების ჰირლანდებით შემოვლებულ ხომალდს.

სტადიონზე ეროვნული მუსიკის ხმებით გამოდიან ლიტვის სპორტსმენები და გგონია, რომ შენს თვალწინ ვეებერთელა ზღაპრულად კაშკაშა ყვავილია, ოქროსფერ ნარინჯოვან კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები იწყებენ ფერხულს. ჭაბუკებთან ერთად ისინი რთულ ტანვარჯიშს ასრულებენ. მშობლიურ ენაზე ლიტველი ფიზკულტურელები დღეგრძელობას უსურვებენ ამხანაგ სტალინს.

სამხრეთ ტრიბუნასთან ფერადი დროშები წარმოგვიდგენენ ბალტიის ზღვის ლურჯ წყლებს. მუსიკის ხმები მოგვაგონებენ ზღვის მოქცევას. ქარი ჰბერავს იახტების იალქნებს და ჩვენ ვხედავთ როგორ ჰქმნიან ისინი სიტყვას „ლატვია".

ლატვიელი ფიზკულტურელები გვიჩვენებენ სერიოზულ მიღწევებს სპორტში, რომელიც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა რესპუბლიკაში მთელი ხალხის საკუთრება. სტადიონზე სტუდენტ ქალ გემიაცესთან ერთად გამოდიან ლეგაის გემთმშენებელი ქარხნის სტახანოველი ქალი შნეიდერსი და გლეხი-ქალი აუზენია.

ტრიბუნებთან ცოცხალი პირამიდა წარმოგვიდგენს საბჭოთა ლატვიის გერბს. ლატველი სპორტსმენები სტოვებენ სტადიონს და თან მიაქვთ მაღლა აღმართული გიგანტური დროშა ამხანაგ სტალინის პორტრეტით, დამსწრენი მათ გულთბილად აცილებენ.

სტადიონის მოედანი სწრაფად იქცევა ტანვარჯიშის დარბაზად. შემოაქვთ პოპულარული ტანსავარჯიშო იარაღები — ორძელი, ტაიჭი, რგოლები. იწყება უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება.

მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სამი ათასი სტუდენტი მწკრივების სისწორის იდეალურად დაცვით უახლოვდება ჩრდილოეთ ტრიბუნას. სწრაფი შეუმჩნეველი მოძრაობა, და მთელი ეს ვეებერთელა მასა ათობით კვადრატს ჰქმნის. თვითეული კვადრატის ცენტრში ახალგაზრდები გვიჩვენებენ აკრობატულ ვარჯიშს.

რიტმულად და მოხდენილად ასრულებს რთულ ვარჯიშს მთელი მოედნის დიაგონალზე დადგმულ ორძელებსა და ძელებზე ერთდროულად 140 ჭაბუკი და ქალიშვილი. მათი მოქნილი, კუნთებიანი ტანი მსუბუქად იტყორცნება ჰაერში.

...სტუდენტებს მძლეოსნები სცვლიან. შვიდ ბილიკზე მოწყობილია ბარიერები. იწყება ქალთა რბენა 80 მეტრზე. საკავშირო რე-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი

(დასასრული)

კორდი ამ შეჯიბრებაში—11,6 წამი—ეკუთვნის შეჯიბრების მონაწილეს მოსკოველ მარიამ ბარილოვას. დღეს მას მეტად ძლიერი მეტოქეები ჰყავს — რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ვალენტინა ფოკინა, სპორტის დამსახურებული ოსტატები ქართველი ელენე გოკიელი და მოსკოველი გალინა ტუროვა. გაიმარჯვა ფოკინამ. მისი შედეგი მხოლოდ ერთი მეათედი წამით ჩამორჩება რეკორდს. ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებიან 110 მეტრზე რბენაში. აქ რამდენიმე ცნობილი მძლეოსანია სსრ კავშირის ჩემპიონების სერგო

...

ციის გამოსვლა მთავრდება რთული პირამიდით — ვარსკვლავით, რომლის ცენტრშიც ბამბის ხვავი დგას.

დაჩელოვნებულ თურქმენ ოსტატ ქალებს ფიზკულტურელის დღესასწაულისათვის მოუქსოვიათ კეთილშობილური მუქი ალისფერი შესანიშნავი ხალიჩები. ამ ხალიჩებით მოედანზე გამოდიან მეცხვარეთა და მებამბეთა რესპუბლიკის ტანადი ვაჟები და ქალიშვილები. ფიზკულტურელთა მხატვრული ტანვარჯიში მოწონების ძახილს იწვევს ტრიბუნაზე.

ხახელოვანი გმირი ქალაქის — ლენინგრადის სპორტსმენებს მოსკოვში დღესასწაულზე გამოუგზავნიათ საბჭოთა სპორტის მომავალ

...

მბრუნავი კონსტრუქცია, რომელზეც სომეხი ქალიშვილები აკრობატულ ნომრებს ასრულებდნენ.

სტადიონზე გაისმა და მიდამოს მოედო მელოდიური ქართული სიმღერა. ქართველ ქალიშვილთა და ჭაბუკთა გამოსვლაში იყო ყველაფერი, რითაც ხასიათდებიან ოსტატები, — შესრულების მაღალი დონეც, ფერადოვნებაც, სინატიფეც, მოხდენილობაც... ჩინებულად ვარჯიშობდნენ ცისფერტუნიკიანი ქალიშვილები ლითონის ჰოკებით. გადაიშალა ალისფერი ალმები და მაყურებლებმა დაინახეს მრავალფეროვანი წრეები. გაკეთებული უზარმაზარი წრის შუაგულში ლითონის თასი,

...

წუთის შემდეგ იგი იქცევა ძველებურ სასპარეზოდ—გამოდიან მოკრივეები, მოფარიკავეები, ტანმოვარჯიშეები.

სარბენ ბილიკზე გამოვიდნენ სხვადასხვაფერი მაისურებით გამოწყობილი ველოსიპედისტები — შესანიშნავი საბჭოთა სპორტსმენები, კროსებში, გზატკეცილებსა და ტრეკზე შეჯიბრებაში გამარჯვებულნი — ბენიამინ ბატაევი, იგორ იპოლიტოვი, დიმიტრი სოლოვიოვი, ალექსი კონდრაშკოვი, იოსებ პამპისი, სერგი ვერშინინი, ნიკოლოზ მიხაილოვი, თეოდორე ტარაჩკოვი და სხვები.

ველომარულმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ყოველი წრის შემდეგ ფინიშზე უკანასკნელად მისული ბრძოლას სწყვეტდა. გამარჯვებული გამოვიდა ბატაევი.

ტაჯიკეთის — მთებისა და ნაყოფიერი ველების ქვეყნის — სპორტსმენებმა სტადიონის ცენტრთან მოიტანეს ბამბის ვეებერთელა კოლოფი—რესპუბლიკის სიმდიდრის სიმბოლო. ლია ცისფერ შარვლებიანი, მზისგან შავად დამწვარი ჭაბუკები, ქალიშვილთა შინდისფერი ბლუზები და მწვანე შარვლები ფერების თვალისმომჭრელ გამას ქმნიან. ვაჟები აჩვენებენ ხმლის ხმარების ოსტატობას. ამ დელეგა-

...

და-კალათებით და მაშინვე იწყება კალათბურთის მატჩი. თამაშობენ მოსკოვისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

მატჩის დროს სტადიონზე სამხრეთი ტრიბუნის მხრიდან შემოირბინა ცისფერმაისურიანმა № 2 მარათონელმა. ეს ლენინგრადელი ვასილ გორდიენკოა. მარათონულ რბენაში 42 კილომეტრსა და 195 მეტრზე მისი მეტოქენი იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონი იაკობ პუნკო, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი ფეოდოსი ვანინი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, უხუცესი მძლეოსანი 57 წლის მიხეილ გოდინი და კიდევ 31 მორბენალი. გორდიენკომ დისტანცია დაფარა ორ საათსა და 37 წუთში. ეს 2 წუთითა და 15 წამით უკეთესია საკავშირო რეკორდზე. მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ ახალ ჩემპიონს.

ამ საუცხოო დღესასწაულზე თვითეულმა მოკავშირე რესპუბლიკამ აჩვენა რაიმე თავისი, ორიგინალური, განუმეორებელი. სომხეთის დელეგაციის გამოსვლაში დასამახსოვრებელი იყო პირამიდა, რომლის გარშემოც გაიშალა კონცენტრული წრეები. ადამიანის სხეულებისაგან შედგენილი დიდი წრის შიგნით იყო

...

ლოებული ცოცხალი ნაიღვრის შთაბეჭდილება. ჩვენებას იწყებენ მოტოციკლისტები საკავშირო პროფსაბჭოს სასპორტო კლუბების დროშებით. შემდეგ გამოდიან ტანმოვარჯიშენი, მრავალფერმაისურიან ფიზკულტურელთა სწრაფი, ოდნავ შესამჩნევი გადაჯგუფება მოლივლივე წყლისა და ველის სივრცის შესანიშნავ სურათებს ქმნის. ათასობით ფიზკულტურელთან ერთად მოედანზე რთულ ვარჯიშს ასრულებენ სამხრეთ ტრიბუნაზე მოთავსებული ტანმოვარჯიშენი. მცირე პაუზა—და ათასობით ვერცხლისფერი მოკლე ჰოკი პროფკავშირების ფიზკულტურელთა მარჯვე ხელში ქმნის მშობლიურ, ნაცნობ და მსოფლიოს ყველა ენაზე გასაგებ სიტყვას — სტალინი.

ფიზკულტურელთა საკავშირო პარადმა მკაფიოდ და დამაჯერებლად გვიჩვენა საბჭოთა ახალგაზრდობის ურყევი ძალა და მამაცობა, მისი მზადყოფნა შრომისა და თავდაცვისათვის, მისი მგზნებარე პატრიოტიზმი, უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი. (საკდეს).

საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებისა და შოფერთა კადრების მომზადების შესახებ

ყველასათვის ცნობილია, რომ მეფის რუსეთში საავტომობილო მრეწველობა არ ყოფილა. საბჭოთა საავტომობილო მრეწველობა მთლიანად სტალინური ხუთწლედების ქმნილებაა.

პირველ სტალინურ ხუთწლედში წარმატებით აშენდა და ამუშავდა საავტომობილო მრეწველობის გიგანტები, — მოსკოვის ი. ბ. სტალინის სახელობის ქარხანა და გორკის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ქარხანა, რომლებიც ჩინებულ სატვირთო და სამგზავრო ავტომობილებს უშვებენ მასობრივი მას-

...

ლი ათასობით ავტომობილს მისცემს ჩვენი ქვეყნის მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, შეიარაღებულ ძალებს.

დამახასიათებელია, რომ ახალ ხუთწლედში საავტომობილო მრეწველობის განლაგება ხდება უკრაინაში, ბელორუსიაში, საქართველოში, ციმბირში. მანქანათმშენებლობის ასეთი განლაგება უშუალოდ მიუახლოებს ავტომობილს მომხმარებელს — ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ცენტრებს და კიდევ უფრო აამაღლებს მოკავშირე

...

ბრძოლის მძიმე წუთებში არა ერთ ჩვენს შოფერს მიუტოვებია მანქანის საჭე, ხელში აუღია ავტომატი და უნადგურებია მტერი. ასობით საბჭოთა შოფერს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ასიათასობით შოფერი დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. ათაასობით არმიელ შოფერს, ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დიდებისათვის შეუწირავს სიცოცხლე.

საავტომობილო მრეწველობა, რომელმაც ომისშემდგომი გარდაქმნა დაამ-

...

მოხერხებულ და ეკონომიურ ავტომანქანას მიიღებს.

სწარმოებს რეკონსტრუქცია და ფართოვდება ყველა ამჟამად მომუშავე ავტოქარხანა. შენდება ხუთი ახალი საავტომობილო ქარხანა, რომლებიც უახლოეს ერთ-ორ წელიწადში ათეუ-

...

გრძნობა საბჭოთა შოფერებისა, რომლებიც სიცოცხლის დაუზოგავად ემსახურებოდნენ ფრონტს, ელვისებური სისწრაფით გადაჰყავდათ საბჭოთა არმიის შენაერთები ბრძოლის ველზე, ღროზე მიჰქონდათ მათთან შეიარაღება და საომარი მასალა.

...

ნიკა უადამიანებოდ, რომელნიც დაუფლებული არიან ტექნიკას,—მკვდარია. ტექნიკას იმ ადამიანების მეთაურობით, რომელნიც დაუფლებული არიან ტექნიკას, შეუძლია და კიდევაც უნდა მოახდინოს სასწაულები".

მ. დელბა

ფიზკულტურელის საკავშირო დღე თბილისში

თბილისის მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს ფიზკულტურელის საკავშირო დღე — 20 ივლისი.

დილის 10 საათზე ბერიას მოედანზე თავი მოიყარეს ფიზკულტურელებმა და სპორტის მოყვარულმა მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ. პირველად შეჯიბრება დაიწყო ამანათრბენაში, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის ექვსი სასპორტო საზოგადოება. შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა თბილისის „დინამოს" გუნდმა, რომელმაც 19 წუთსა და 21 წამში დაფარა 7.350 მეტრი მანძილი. მეორე ადგილზე გამოვიდა „შრომითი რეზერვები", მესამეზე —

...

ქარხნისა და ავტოსარემონტო სახელოსნოს ფეხბურთელთა გუნდები.

დღის 2 საათზე შედგა ფეხბურთის 1947 წლის საქართველოს ჩემპიონის თბილისის 34-ე ვაჟთა საშუალო სკოლის და „კრილია სოვეტოვის" ოსტატ ფეხბურთელთა შეხვედრა. მატჩი მოიგო „კრილია სოვეტოვის" გუნდმა ანგარიშით 4 : 2.

საღამოს 6 საათზე ბერიას სახელობის დინამოს სტადიონზე შედგა ამიერკავკასიის ზონის კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივის" და ბაქოს „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. ეს მეტად საინტერესო თამაში დამ-

...

თბილისის ფიზკულტურის პარკში დილის 10 საათიდან დაიწყო შეჯიბრება ცურვასა და წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს", ფიზკულტურის ინსტიტუტის, ფიზკულტურის ტექნიკუმის, „შრომითი რეზერვების" და „ტრუდის" მცურავთა გუნდები. შეჯიბრება დიდი სპორტული ინტერესით ჩატარდა.

საღამოს ამავე მოედანზე შედგა ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთსა და კალათბურთში. მოეწყო აგრეთვე მასობრივი სეირნობა. დასასრულ გაიმართა ამხანაგური შეხვედრა წყალბურთში თბილისის პირველ და მეორე ნაკრებ

...

ქართველი სპორტსმენები ფიზკულტურელთა სრულიად საკავშირო პარადზე

სტადიონზე აჟღერდა მელოდიური სიმღერა... ქალიშვილთა წკრიალა ხმები საუცხოოდ ეხამებოდა ცისფრად გამოწყობილ ფიზკულტურელ ქალთა ლამაზ და პლასტიკურ თავისუ-

...

ბურთელებს ბორის პაიჭაძესა და გაიოზ ჯეჯელავას! ვინ არ იცის ჩემპიონი მოკრივეები ნოვოსარდოვი, არისტაგოვი, ხანუკაშვილი. მსოფლიო სახელი მოიხვეჭა ბადრის მტყორცნელმა

...

ცოტა მოშორებით იმავე დრეკადი ფოლადის ჰოგრებისაგან განსაცვიფრებელი სისწრაფით ჩნდება ხიდის მაგვარი ფიგურა, რომლის თავზე გაჭიმული მსუბუქი თაღების ნახევარ-

...

გავაძლიეროთ ლეწვის ტემპი, დავაჩქაროთ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება!

მკა მთავრდება, ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება ჭიანურდება

...თელავის რაიონის კოლმეურნეები ...ავრებენ თავთავიანი კულტურების ...სავლის აღებას. 20 ივლისისათვის ...რაიონში მომკილი იყო 6.817,1 ჰექ...რი პური. მოსამკელი დარჩა 1.115 ...ტარი. მტს-ის ყველა კომბაინს ...ული დატვირთვით რომ ემუშავნა ... მთელ რიგ კოლმეურნეობებსაც ...რომა კარგად მოეწესრიგებინათ, აქამ... რაიონში ყანების მკა მთლიანად ...ნებოდა დამთავრებული.

...რაიონმა ცუდად როდი დაიწყო მო...ვლის აღება. მოსამზადებელი მუშაო...თავის დროზე ჩაატარეს, კოლმეურ...ობებმა ერთმანეთს შორის სოცია...სტური შეჯიბრება გააჩაღეს, მტს-ის ...მბაინებიც თავის დროზე გავიდნენ ...დვრად სამუშაოდ. მიუხედავად ამი... კოლმეურნეობათა უმრავლესობამ ... შეასრულა ნაკისრი ვალდებულე...—12 სამუშაო დღეში აეღოთ თავ...თავიანი კულტურების მოსავალი.

...რა იყო ამის მიზეზი?

...უჩქარებლობა. ნელი ტემპები. ამა... თავისებური უარყოფითი გავლენა ...ახდინა აგრეთვე საქართველოს სსრ ...ფლის მეურნეობის სამინისტროს ...ველმა დირექტივამაც მტს-ებისად... რომლითაც სამინისტრო მტს-ებისა... მოითხოვდა ისე დაეგეგმათ კომ...

ლეწვაში ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა შორის არიან: სოფელ ვანთის კოლმეურნეობა „ჩვენი იმედი“, რომელსაც 146 ჰექტარზე მომკილი ყანიდან 20 ივლისისათვის არაფერი ჰქონდა გალეწილი; ქვემო ხოდაშნის კოლმეურნეობა „შრომის კავშირი“, რომელსაც 202 ჰექტარზე აღებული მოსავლიდან აგრეთვე არაფერი გაულეწია. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ კონდოლის კოლმეურნეობებში „გზა კომუნიზმისაკენ“ და „გამარჯვება“ და ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. საერთოდ რაიონის 12 კოლმეურნეობას 20 ივლისისათვის ლეწვა არ ჰქონდა დაწყებული. ხოლო დანარჩენ კოლმეურნეობებშიც ლეწვა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ყოველივე ამის გამო სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმის შესრულება დაუშვებლად ჭიანურდება. 20 ივლისისათვის სულ ჩაბარებული იყო 169.151 კილოგრამი. ამაში შედის ნატურანაზღაურებაც და სესხების დაბრუნებაც. მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა 50 პროცენტითაც არ არის შესრულებული.

...

...ვება. ამ მხრივ მდგომარეობა თე...ვის რაიონში სახარბიელო ვერ არის. ...7,1 ჰექტარზე მომკილი ყანიდან ...ვინული და სალეწ პუნქტებზე მი...ლია 3.727 ჰექტარის ძნები. ყვე...ე სამარცხვინოდ კი ლეწვა ჩამორ.... 20 ივლისისათვის გალეწილია ...37 ჰექტარზე აღებული მოსავალი.

...

ორიოდე სიტყვა მარცვლეულის მიღება-გაზიდვისათვის „ზაგოტზერნოს“ თელავის ბაზის მზადყოფნაზე. ბაზა (დირექტორი ამხ. ვ. კალავიშვილი) მზად შეხვდა მარცვლეულის მიღებას პირველ დღეებში. მოამზადა მარცვლეულის შესანახი საწყობები, შეაკეთა სასწორები და სხვა ხელსაწყო-იარაღე...

...

მომჭირნეობის ფასი

მოსავლის დანაკარგებთან ბრძოლა უდიდესი მნიშვნელობის საქმეა. კალოზე დაცვენილი მარცვლებისაგან, მინდვრად მიტოვებული თავთავებისაგან ასეულ მილიონობით ფუთი პური იკარგება. პურს მზრუნველობით უნდა მოვეპყროთ მოსავლის აღების უკლებლივ ყველა სახის სამუშაოს დროს.

1. რას ნიშნავს მხოლოდ ერთი პრო-...

...

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. სურათზე: მარცხნივ—სტახანოველი ხარატი დ. ხანდოლიშვილი, რომელმაც უკვე თვეში ერთნახევარი წლის გეგმა შეასრულა. მარჯვნივ—სტახანოველი დ. მერგატია, რომელსაც შესრულებული აქვს 2 წლის გეგმა და ხ. ახალკაციშვილი — შესრულებული აქვს წლინახევრის გეგმა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ძაფსართავი ფაბრიკის მრავალდაზგოსნები

თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით მოგვცა 14 ტონა და 300 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ნართი. განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში. ნაცვლად 3 პროცენტისა, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს 10,6 პროცენტით და ამით 461 ათასი მანეთის ეკონომიას მიაღწიეს.

სტახანოველმა ვალენტინა ტრუბნიკოვამ პირველმა იკისრა თბილისის ძაფსართავ ფაბრიკაში მომსახურება გაეწია 4 სართავი მანქანისათვის, რაც 1.312 თითისტარს შეიცავს. მას 4 დაზგა მისცეს. მაისში ვ. ტრუბნიკოვამ დავალება 170,6 პროცენტით გაანაღდა და 1960 მანეთი გამოიმუშავა. ივნისში კიდევ უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა.

რამდენიმე დღის წინათ ამხ. ტრუბნიკოვამ 4 დაზგაზე მუშაობის თავის გამოცდილება გაუზიარა ფაბრიკის დანარჩენ სტახანოველებს, რომლებიც მას დიდი ინტერესით უსმენდნენ.

— ჩვენ გვყავს მრავალი მოწინავე მრთველი და მეფთილე, — სთქვა ვ. ტრუბნიკოვამ. — ყოველ მათგანს თავისუფლად შეუძლია 4 მანქანის მომსახურება, საამისოდ საჭიროა მანქანის, მისი თვითეული დეტალის ცოდნა. მანქანები უნდა ვიქონიოთ სუფთად, გამართულად. თუ მანქანას კარგად მოვუვლით, იგი არასოდეს გვიღალატებს. შემცვლელს მანქანა გამართულად უნდა ჩავაბაროთ. მეტი ყურადღება მანქანას, უკეთესად, რაციონალურად მოვაწყოთ საკუთარი სამუშაო ადგილი, ყოველთვის წინასწარ მივიღოთ ზომები მანქანის მეუფერხებლად მუშაობისათვის, და წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

მოწინავე მრთველის ვ. ტრუბნიკოვას მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა ფაბრიკაში, ბევრი მრთველი და მეფთილე ამჟამად გადასულია მრავალდაზგაზე სამუშაოდ.

ე. მღებრიშვილი

სამშობლოს მაღალი ხარისხის ჩაი

ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკის (დირექტორი ამხ. ა. რაფავა) კოლექტივი წარმატებით იბრძვის მაღალხარისხოვანი პროდუქციისათვის. ფაბრიკამ გადაჭარბებით შეასრულა მაისის და ივნისის თვიური დავალებანი და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 37,4 ტონა ჩაი, რაც დავალების თითქმის 200 პროცენტს შეადგენს. გამოშვებულია მხოლოდ უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხის ჩაი.

ეს წარმატება მოპოვებულია ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებით, სეზონისათვის საჭირო კადრებით უზრუნველყოფით, თავის დროზე მოხდა აგრეგატების შეკეთება. რემონტზე მომუშავეთა შორის ურთიერთ კონტროლის დაწესებამ საუცხოო შედეგი მოგვცა—კარგი ხარისხითაა შეკეთებული ჩაის საჭკნობი აგრეგატები, როლერები, დამხარისხებელი მანქანები და სხვა დანადგარები.

ჩაის პირველი პარტია ფაბრიკამ 23 აპრილს მიიღო. მას შემდეგ 1 ივლისამდე აგრეგატებმა გადაამუშავეს 429 ტონაზე მეტი ჩაი, რაც წლიური გეგმის მესამედს აღემატება. ჩაის ხმობაში განსაკუთრებით დაისტატდნენ და მაღალი მაჩვენებლები აქვთ ი. ნიკიტინას და ნ. ბაიკოვას, რომლებიც სისტემატურად ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებენ. საგრეხ საამქროში კი პირველობას ინარჩუნებენ ნ. ლაზარევა და პ. მატვიენკო.

ახლა ფაბრიკას ყოველდღე 6-8 ტონა ჩაი მოსდის. მიმღები პუნქტებიდან მწვანე ფოთლის გადმოზიდვაზე ხუთი ავტომანქანა მუშაობს. ფაბრიკების ტრანსპორტი ცუდად არ მუშაობს, მაგრამ ავტოგზები ბევრგან შეუკეთებელია, ბოგირები ჩამტვრეულია. ეს მიეწერება მშრომელთა დეპუტატების ჩხოროწყუს რაისაბჭოს საგზაო განყოფილებისა და სასოფლო საბჭოების ცუდ მუშაობას. მაგალითად, საგზაო განყოფილებას არაფერი გაუკეთებია სოფელ კირცხამდე და სოფელ ჭოლამდე შარაგზების შესაკეთებლად.

ფაბრიკამდე ჩაის ფოთლის დროზე მოზიდვის, გადამუშავებისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის დამზადებისათვის საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩაის კრეფის ტემპი, სწრაფად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მისასვლელი გზების კეთილმოწყობის საქმეში.

ფართოდ გავშალოთ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა მოსავლის აღებაზე

„თვით სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე, რომ ამ პირობის გარეშე სამეურნეო წარმატებანი შეიძლება ქვიშაზე აგებული აღმოჩნდეს“.

(ი. სტალინი)

...ალი მოსავლისათვის, სურსათის ...ვისათვის ბრძოლა ნიშნავს ჩვენი ...ალისტური სახელმწიფოს შემდგომ... სამხედრო-ეკონომიური სიძლიერი...

...

ლოვანწილად აიხსნება იმით, რომ სოფლის კომუნისტებმა უფრო ენერგიულად მოჰკიდეს ხელი საქმეს, ფართოდ გაშალეს პარტიულ-მასობრივი საქმია...

...

...რივ-პოლიტიკური მუშაობა შედარებით კარგად არის დაყენებული, ზოგიერთ კოლმეურნეობაში საგიტაციო-მასობ...

...

სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებას. დიდი სტალინი გვასწავლის: „ნუ მოაკლებთ ყურადღებას მთავარ...

...

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. (საკდესი). გუშინდელ სხდომაზე უშიშროების საბჭომ საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე ინციდენტების გამომკვლევი კომისიის მოხსენების განხილვა დაამთავრა ბულგარეთის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთისა და ალბანეთის წარმომადგენლების განცხადებებით.

ბულგარეთის, იუგოსლავიისა და ალბანეთის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში კვლავ ამხილეს უსამართლობა და პოლიტიკური წინაზრახვა, რომაც გამოხატულება ჰპოვა კომისიის უმრავლესობის დასკვნებში, და გულწრფელი სურვილი გამოსთქვეს მიღწეულ იქნას ბალკანეთში არსებული მდგომარეობის მშვიდობიანი მოგვარება.

ამასობაში საფრანგეთის წარმომადგენელმა პაროდიმ „მშვიდობისმყოფელის" როლი იკისრა და წინადადება წამოაყენა, რომ უთანხმოება თავიდან აშორებულ იქნას ბალკანეთის დემოკრატიული ქვეყნების ხარჯზე. მაგალითად, პაროდიმ წინადადება წამოაყენა, რომ ბულგარეთმა დამაკმაყოფილებლად მიიჩნიოს კომისიის დასკვნები, იმიტომ რომ ამ დასკვნებზე დამყარებული ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუცია გარკვეულ ქვეყნებს ბრალს არა სდებს სასაზღვრო ინციდენტებისათვის.

როგორც ბულგარეთის წარმომადგენელმა მევორამ აღნიშნა, მოხსენება საფუძველს იძლეოდა აშკარა დასკვნისათვის, რომ საბერძნეთში მომხდარი არეულობა აიხსნება დემოკრატიული ელემენტების დევნით, ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუცია კი ამის თაობაზე არაფერი წამოუყენებია.

ალბანეთის წარმომადგენელმა კერჯიმ აღნიშნა, რომ კომისია უგულებელყოფდა ალბანეთის სურვილს უფრო ფართო გამოკვლევა ჩატარებულიყო საბერძნეთის წინააღმდეგ მიმართულ განცხადებებთან დაკავშირებით. მან კვლავ განაცხადა, რომ საბერძნეთის ბრალდება ალბანეთის წინააღმდეგ სინამდვილეს არ შეეფერება და კვლავ პროვოკაციას წარმოადგენს.

შემდეგ თავმჯდომარემ ლანგემ განაცხადა, რომ თუ გამოსვლის მსურველთა სია ამოწურულია, საბჭოს შეუძლია დაიწყოს ორი წარმოდგენილი რეზოლუციის — ამერიკის შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის რეზოლუციების განხილვა. ამის შემდეგ საბჭოს სხდომა დაიხურა 22 ივლისამდე. სხდომის დახურვის წინ ლანგემ გამოაცხადა, რომ იგი დასტოვებს საბერძნეთის საკითხს დღის წესრიგში ყველა მომავალი სხდომისათვის, სანამ ეს საკითხი სავსებით არ ამოიწურება.

18 ივლისს უშიშროების საბჭომ აგრეთვე გადასწყვიტა ახალ წევრთა მიღების საკითხის კომისიას გადასცეს რუმინეთის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში რუმინეთის საქმეთა რწმუნებულმა მარდარესკუმ 10 ივლისს გადასცა გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის.

ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

სოფია, 18 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს შემდეგ ცნობას:

13 ივლისს, დილის 6 საათსა და 30 წუთზე საბერძნეთის ასეული, რომელშიც 200-მდე ჯარისკაცი იყო, შეიჭრა ბულგარეთის ტერიტორიაზე ბულგარეთის იმ საგუშაგოს ამოსავლეთით, რომელიც 4 კილომეტრზეა სვილენგრადის სამხრეთ აღმოსავლეთით, და სროლა ასტეხა. იმავე დროს 60 ბერძენი ჯარისკაცისაგან შემდგარმა მეორე ჯგუფმა კაპიტან გეორგის მანიპოლოსის და უმცროსი ლეიტენანტის ევანგელოუს ფსიქოისის მეთაურობით, დაიკავა პოზიცია ფრონტისპირა სადარაჯოსთან ბულგარეთის საგუშაგოს პირდაპირ, ხოლო 30 ბერძენი ჯარისკაცისაგან შემდგარი მესამე ჯგუფი ბულგარეთის საგუშაგოსაკენ სამხრეთიდან მიიწევდა. ბულგარეთის საგუშაგოს ჯარისკაცებმა რამდენჯერმე ესროლეს ბერძენ ჯარისკაცთა მესამე ჯგუფს და აიძულეს ისინი დაფანტულიყვნენ და საბერძნეთის ტერიტორიაზე დაბრუნებულიყვნენ.

ბერძენ ჯარისკაცთა პირველი ჯგუფი 1500 მეტრ სიღრმეზე შეიჭრა ბულგარეთის ტერიტორიაზე, გაიარა ბულგარეთის საგუშაგოდან ჩრდილოეთით 500 მეტრი მანძილი, გაიფანტა ბაღებსა და მინდვრებში და შეიპყრო მინდვრად მომუშავე სამი სვილენგრადელი მცხოვრები. საზღვრისაკენ უკან დახევის დროს ორმა მათგანმა მოახერხა გაქცევა, ხოლო პეტერ გეორგიევ ანგელოვი წაიყვანეს საბერძნეთის ტერიტორიაზე.

დაახლოებით 10 საათზე ბულგარეთის სექტორის მეთაურის პოდპოლკოვნიკ დიმიტროვისა და საბერძნეთის ჯგუფების მეთაურის კაპიტან გეორგიოს მანიპოლოსის შეხვედრის დროს ბულგარელმა ოფიცერმა ენერგიული პროტესტი განაცხადა ბულგარეთის ტერიტორიაზე ბერძენ ჯარისკაცების შეჭრის წინააღმდეგ. ბერძენი ოფიცერი უარჰყოფდა აშკარა ფაქტებს და დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მისთვის გადაეცათ ბერძენი პარტიზანები, რომლებიც, ვითომდა, ბულგარეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ბერძენმა ოფიცერმა კატეგორიული უარი განაცხადა ბულგარელი ოფიცრის მიწვევაზე — ერთად გამოერკვიათ ადგილობრივ ბულგარეთის ტერიტორიაზე ბერძენი ჯარისკაცების შეჭრის ფაქტი.

ბულგარეთის სააგენტოს ეს ინციდენტი მიაჩნია პროვოკაციად, მით უმეტეს, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო საბერძნეთის პასუხისმგებელ ხელისუფალთა ნებადაურთველად.

ბულგარეთის მთავრობამ ეს საკითხი განსახილველად გადასცა მოკავშირეთა საკონტროლო კომისიას და ამ ინციდენტის შესახებ აცნობა სსრ კავშირის მისიას და დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ წარმომადგენლობებს სოფიაში.

საბერძნეთის პროვოკაციების ნამდვილი აზრი

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. (საკდესი). ზოგიერთი მიმომხილველი მოსაზრებას გამოსთქვამს, რომ საბერძნეთის მთავრობამ არა მარტო იმისათვის შეთხზა ზღაპარი „საბერძნეთში შეჭრისა" და „ინტერნაციონალური ბრიგადის" შესახებ, რომ გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს საბერძნეთის საკითხზე, არამედ აგრეთვე იმისთვისაც, რომ აიძულოს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი დამატებითი ფონდები გადასდოს საბერძნეთ-თურქეთისადმი „დახმარების" ტრუმენის პროგრამის შესასრულებლად.

თუმცა კონგრესმა ხანგრძლივი კამათის შემდეგ მოიწონა ტრუმენის პროგრამა, მაგრამ ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფონდების განაწილების შესახებ გადაწყვეტილება არ გამოუტანია. ამას წინათ გაჩნდა იმის ნიშნები, რომ კონგრესში მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევენ მთელი იმ 400 მილიონი დოლარის ასიგნებას, რაც ტრუმენმა საბერძნეთისა და თურქეთისათვის გამოითხოვა.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" სწერს, რომ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში მარშალსა და მის მოადგილე ლოვეტს თათბირი ჰქონდათ წარმომადგენელთა პალატის ასიგნებათა კომისიის ლიდერებთან და დაჟინებით მოითხოვდნენ მთელი დასახული სახსრების ასიგნებას.

მაშინ როცა ათენიდან მიღებულ ცნობებში ამჟამად აცხადებენ, რომ ეგრეთწოდებული „ინტერნაციონალური ბრიგადა" თითქოს მოულოდნელად წავიდა მთებში, ზოგიერთი წრეები აღნიშნავენ, რომ „შეჭრის" ზღაპარი მთლიანად გამოგონილია, რათა კონგრესი აიძულონ გადასდოს სახსრები ტრუმენის ინტერვენციონისტული პროგრამის განსახორციელებლად.

პრეს-კონფერენციაზე საბერძნეთის გენერალურ შტაბში

ათენი, 20 ივლისი. (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე საბერძნეთის გენერალურ შტაბში ბრიგადირმა მანიტაკისმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ეპირში უკანასკნელ ბრძოლებში მონაწილეობდა პარტიზანთა 8 ბატალიონი 1500 კაცის შემადგენლობით. მანიტაკისმა განაცხადა, რომ საბერძნეთის გენერალურმა შტაბმა არაფერი იცის „ინტერნაციონალური ბრიგადის" შესახებ ან პარტიზანთა შორის უცხოელთა ყოფნის შესახებ, და დასძინა, რომ „ეს უპასუხისმგებლო ინფორმაცია უპასუხისმგებლო პირებმა გაავრცელეს". ამასთან ცნობილია, რომ ჭორები „ინტერნაციონალური ბრიგადის" შესახებ გაავრცელეს საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრმა ზერვასმა და მთავრობის სხვა წარმომადგენლებმა, და მოხსენიებული იყო საბერძნეთის წარმომადგენლის წერილში საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე შექმნილი სიტუაციის გამომკვლევი უშიშროების საბჭოს კომისიის დამხმარე ჯგუფისადმი და საბერძნეთის წარმომადგენლის დენდრამისის განცხადებაშიც უშიშროების საბჭოსადმი.

პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მანიტაკისი მთელ რიგ პასუხებში ჟურნალისტთა შეკითხვებზე, ყალბი ცნობების გავრცელებაში ბრალს სდებდა ზერვასს, ისე რომ მისი სახელი არ უხსენებია.

გაზეთი „ტა ნეა" სწერს, რომ ზერვასმა კომენტარი გაუკეთა გენერალური შტაბის წარმომადგენლის განცხადებას და სთქვა: „ასეთ ვითარებაში სამხედრო პირები უნდა სდუმდნენ", და დასძინა, რომ ეპირში მომხდარი ამბების დაწვრილებით განხილვა ერის ინტერესს არ შეადგენსო".

ავსტრიის ხელშეკრულების კომისიაში

ვენა, 19 ივლისი. (საკდესი). ავსტრიის ხელშეკრულების კომისია განაგრძობს მუშაობას 35-ე მუხლზე, რომელიც შეეხება გერმანიის აქტივებს ავსტრიაში. როგორც ოფიციალურად გამოცხადდა, გუშინ კომისიამ დაამთავრა ავსტრიის ნავთის მრეწველობის საკითხის განხილვა და გადავიდა დუნაის ნაოსნობის საკითხის განხილვაზე.

ბრიტანეთის ხელისუფალნი მფარველობენ ბანდიტებს, რომელნიც თავს ესხმიან საბჭოთა წარმომადგენლებს რეპატრიაციის დარგში

ლონდონი, 18 ივლისი. (საკდესი). ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში თავდასხმა მოახდინეს საბჭოთა წარმომადგენლებზე რეპატრიაციის დარგში პოლკოვნიკ კუტუზოვზე, მაიორ სენინზე და კაპიტან პოლაგუშინზე, რომლებმაც ინახულეს ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკი ქალაქ ბლომბერგში (გერმანიის ოკუპაციის ინგლისური ზონა). ბანაკიდან საბჭოთა ოფიცრების გამოსვლისას მათ მანქანას ქვას უშენდნენ, პოლკოვნიკ კუტუზოვის ავტომანქანას კი გრანატი ესროლეს. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო გრანატი მანქანიდან 10-12 მეტრის მანძილზე აფეთქდა და მანქანაში მყოფი საბჭოთა ოფიცრები არ დაზიანდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა წარმომადგენლები ბანაკში მივიდნენ ბრიტანეთის ხელისუფალთა ნებართვით და ბანაკში ყოფნისას მათ ახლდნენ ინგლისელი კაპიტანი მილერი და ინრრას განყოფილების დირექტორი დიფიზე. კაპიტან მილერისა და დიფიზეს თანდასწრებით ბანდიტთა ჯგუფი ბანაკში მყოფ სამხედრო დამნაშავეთა და იმ პირთა რიცხვიდან, რომელნიც აქტიურად ემსახურებოდნენ გერმანელებს, შეურაცხყოფას აყენებდნენ საბჭოთა ოფიცრებს და მოკვლით ემუქრებოდნენ. ბრიტანეთის ხელისუფლებმა არავითარი ზომები არ მიიღეს იმისათვის, რომ საბჭოთა ოფიცრები დაეცვათ შეურაცხყოფისაგან და თავიდან აეცილებინათ თავდასხმა, რომელიც, უეჭველია, წინასწარ იყო მომზადებული.

ლონდონში სსრ კავშირის საელჩოს მეშვეობით საბჭოთა მთავრობის წარდგინების პასუხად, რომელიც მტკიცედ მოითხოვდა ამ ბანდიტური თავდასხმის გარემოებათა სასწრაფო გამოკვლევას და დამნაშავეთა სასტიკ დასჯას, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ შესაძლებლად ჩასთვალა ემტკიცებინა, რომ თავდასხმა პროვოცირებული იყო... თვით საბჭოთა ოფიცრების მიერ და რომ თავდასხმის მონაწილეთა ვინაობის გამორკვევა ვერ მოხერხდა.

საბჭოთა საელჩომ ახალ წარდგინებაში მთელი სიცხადით დაამტკიცა ასეთ განცხადებათა აბსურდულობა და განაცხადა, რომ საბჭოთა ოფიცრებზე თავდასხმა შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ბანაკის ადმინისტრაციის დანაშაულებრივი უმოქმედობისა და ბრიტანეთის სარდლობის წარმომადგენლის კაპიტან მილერის და ინრრას წარმომადგენლის დიფიზეს წაყრუების შედეგად. საელჩო მტკიცედ მოითხოვდა საბჭოთა წარმომადგენლების თანდასწრებით თავდასხმის გარემოებათა განმეორებით გამორკვევას და როგორც თავდასხმაში დამნაშავეთა, ისე ამ თავდასხმისათვის წამქეზებელ პირთა დასჯას.

ახლა ცნობილი გახდა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებმა ოფიციალურად განაცხადეს უარი დაეკმაყოფილებინათ საბჭოთა საელჩოს ეს კანონიერი მოთხოვნა ქალაქ ბლომბერგში საბჭოთა ოფიცრებზე თავდასხმის გარემოებათა განმეორებით გამორკვევის შესახებ, როგორც სჩანს იმის შიშით, რომ უფრო გულდასმით გამორკვევისას გამომჟღავნდებოდა საბჭოთა ოფიცრებზე თავდასხმის ნამდვილი ხასიათი, რის პასუხისმგებლობაც ეკისრებათ არა მარტო აღვირახსნილ სამხედრო დამნაშავეებს, რომლებიც თავს თავისუფლად გრძნობენ ინგლისის კონტროლქვეშ არსებულ ბანაკებში, არამედ ბრიტანეთის ხელისუფალთა წარმომადგენლებსაც.

გერმანიაში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კომისიის გამგზავრების შესახებ

ბერლინი, 19 ივლისი. (საკდესი). აქ ცნობილი გახდა, რომ გერმანიის საკონტროლო საბჭომ მიიღო ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის იმ კომისიის ანგარიში, რომელმაც ინახულა გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა და ფრანგული ზონები. ფედერაციის სამდივნოს წერილში, რომელსაც ხელს აწერენ მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე და ევგენია კოტონი, აღნიშნულია, რომ ფედერაციის კომისიას უნდა ენახულა გერმანიის ოკუპაციის ოთხივე ზონა, რათა ადგილზე გასცნობოდა გერმანელ ქალთა და გერმანიის ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობას გერმანიის დენაციფიკაციისა და დემოკრატიზაციის ჩატარებაში. მაგრამ ინგლისისა და ამერიკის ხელისუფლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს დაეშვათ თავიანთ ზონებში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კომისია, და კომისიას მოუხდა დასჯერებოდა მხოლოდ საბჭოთა და ფრანგულ ზონებში მგზავრობას. წერილში გამოთქმულია მტკიცე პროტესტი ინგლისელ და ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა ასეთი მოქმედების წინააღმდეგ.

ამავე დროს ფედერაციის სამდივნო მადლობას გამოსთქვამს საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების მიმართ იმ დახმარებისათვის, რომელიც კომისიას აღმოუჩინეს საბჭოთა ზონაში მისი ყოფნის დროს. კომისია თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ საბჭოთა ზონაში ჩატარებულია ძირფესვიანი გარდაქმნა, რაც ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის გერმანიის დემოკრატიული განვითარებისათვის და, კერძოდ, ქალთა დემოკრატიული მოძრაობის განვითარებისათვის. ამასთან ერთად კომისიამ გამოარკვია, რომ გერმანიის ოკუპაციის ფრანგულ ზონაში თითქმის არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ გერმანიის დემოკრატიული გარდაქმნისათვის.

კომისიის ანგარიშის თანახმად, დენაციფიკაცია ფრანგულ ზონაში სრულიად არადამაკმაყოფილებლად ტარდება. არავითარი ზომები არ არის მიღებული ბავშვებისა და ახალგაზრდობის დემოკრატიული აღზრდის დარგში. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებმა აკრძალეს ქალთა რაიმე დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა.

საკონტროლო საბჭოს გარდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნომ გერმანიაში თავისი კომისიის მგზავრობის ანგარიში გაუგზავნა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოს და სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს.

ფედერაციის სამდივნო ყველა ამ ორგანოთა ყურადღებას მიაპყრობს იმ ანგარიშს, რომელიც შეეხება ოკუპაციის ფრანგულ ზონას. ეს ანგარიში „უნდა გახდეს განსაკუთრებული შესწავლის საგანი იმ ორგანოების მხრივ, რომლებიც მოწოდებული არიან თვალყური ადევნონ მშვიდობისა და უშიშროების დაცვას და პოტსდამის შეთანხმების განხორციელებას".

ფრანგული ზონის შესახებ კომისიის დასკვნებთან დაკავშირებით აქაურ ჟურნალისტთა წრეებში იხილავენ საკითხს ინგლისისა და ამერიკის ხელისუფალთა უარის მიზეზების შესახებ — დაეშვათ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კომისია თავიანთ ზონებში. გამოსთქვამენ აზრს, რომ ეს უარი აიხსნება სურვილით, — არ ეჩვენებინათ მსოფლიო საზოგადოებრივი წარმომადგენლებისათვის დენაციფიკაციისა და დემოკრატიზაციის ნამდვილი მდგომარეობა გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ და ამერიკულ ზონებში.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სამხედრო მინისტრი

ვაშინგტონი, 19 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი პატერსონი გადადგა. ტრუმენისადმი გაგზავნილ წერილში პატერსონი თავის გადადგომას უკავშირებს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გაერთიანების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას.

პატერსონის ნაცვლად ტრუმენმა დანიშნა სამხედრო მინისტრის მოადგილე კენეტ როიალი.

მანიუს ნაერთვა სადეპუტატო ხელშეუხებლობა

ბუქარესტი, 20 ივლისი. (საკდესი). რუმინეთის პარლამენტმა განიხილა მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობა — წაერთვას სადეპუტატო ხელშეუხებლობა ნაციონალ-ცარანისტ დეპუტატებს მანიუს, გილეზანს, ლუპუცას, სერბიჩს, ნიკულესკუ-ბუზეშტს, როგორც „იმ მოქმედებაში გარეულებს, რომელიც მიზნად ისახავდა რუმინეთის დემოკრატიული რეჟიმის დამხობას". პარლამენტის სხდომაზე გამოსულმა დეპუტატმა პატრაშკანუმ განაცხადა, რომ პარლამენტის საკანონმდებლო კომისიამ მხარი დაუჭირა მთავრობის შუამდგომლობას.

რუმინეთის პარლამენტმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება წაერთვას სადეპუტატო ხელშეუხებლობა მანიუსა და ოთხ სხვა დეპუტატს ნაციონალ-ცარანისტული პარტიისაგან.

ამერიკის ახალი სესხი იტალიას

ვაშინგტონი, 19 ივლისი. (საკდესი). საექსპორტო-საიმპორტო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ მარტინმა გამოაცხადა, რომ ბანკი მზად არის განიხილოს „იტალიის საგარეო ვაჭრობასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული იტალიის მრეწველობის გარკვეული დარგების ან ქვეგანაყოფებისათვის" დამატებითი კრედიტის მიცემის საკითხი.

ივნისში საექსპორტო-საიმპორტო ბანკმა 100 მილიონი დოლარი მისცა იტალიის მრეწველობის სპეციალურ დარგებს იტალიის საექსპორტო ბაზრების აღდგენისა და გაფართოების მიზნით.

აფხაზეთის კურორტებზე

სოხუმი

დამსვენებელთათვის წყალტუბომართობის სადგურის პირდაპირ, სინოპის ლამაზ კუთხეში გაიხსნა ახალი პლაჟი. იგი მედიცინის მოთხოვნათა შესაბამისად არის მოწყობილი.

პლაჟის ტერიტორია 650 კვადრატული მეტრის ფართობზეა შემოკავებული.

პლაჟი მომსახურებას უწევს სანატორიუმ „განთიადის", მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის და სამხედრო-საჰაერო ძალების მუშაკთა დასასვენებელი სახლების დამსვენებლებს, აგრეთვე ქალაქის მშრომელებს. მისი კეთილმოწყობისათვის 300 ათასი მანეთი დაიხარჯა. პლაჟი ყველაზე დიდი და კეთილმოწყობილია აფხაზეთის საკურორტო პლაჟებს შორის.

გაგრა

[illegible] წელს დარგულ იქნა 700 ათასი [..] დეკორაციული მცენარე, გაშენდა [..]ლი გაზონები, პარკები და ხეივ[..] გამწვანების საქმეზე წელს უკვე [..] ხარჯა 150 ათასი მანეთი.

* * *

წელს 1.000-მდე მშრომელმა [..]ვენა და იმკურნალა პირველი კლ[..] სანატორიუმ „უკრაინაში". სანა[..]რიუმთან არის საუკეთესოდ მოწყ[..]ლი ფიზიოთერაპევტული, წყლისა [..] ფიზიკური სამკურნალო და რენტგ[..] კაბინეტები, აგრეთვე პოლიკლინ[..] ლაბორატორია.

ს. შონ[..]

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონ[..]

ე. ჩერქეზიშვილის საღამო ჭიათურაში

ჭიათურის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ელ. ჩერქეზიშვილის დაბადების 80 წლისთავისა და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

ელ. ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და სასცენო მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. დ. ჩხეიძე. იუბილარს მიესალმნენ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღ[..]წე ს. ცომაია, აგრეთვე თ. ლოლაძ[..] ქ. გურული. საპასუხო სიტყვით გა[..] და იუბილარი.

დასასრულ წარმოდგენილ იქნა ა. [..]გარელის „ხანუმა". ხანუმას რ[..] შეასრულა საქართველოს სსრ სახ[..] არტისტმა ელ. ჩერქეზიშვილმა.

შეჯიბრება ცხენოსნობაში

ამ დღეებში ქ. ცხაკაიას ჰიპოდრომზე ჩატარდა სარაიონო შეჯიბრება საცხენოსნო სპორტში.

განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თეკლათელი კოლმეურნე ცხენოსნები. დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში პირველი ადგილი მიეკუთვნა კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ლ. არდიას, რომელმაც საჯარიმო ქულების გარეშე უჩვენა საუკეთესო დრო — 1,24 წუთი.

საინტერესოდ ჩატარდა ჩეხვა. მხედარმა გვეჯე ივანიძემ 13 წამში უჯარიმოდ ჩაიბარა ჩეხვის ყველა ნორმა და გამოვიდა პირველ ადგილზე. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს კოლმეურნეებმა კ. სიგუამ და ი. წურწუმიამ. შეჯიბრება ჩატარდა აგრეთვე ცხენოსნური სპორტის სხვა სახეებში, როგორიცაა ჯირითი, ყაბახი და სხვა.

საინტერესოდ ჩატარდა დოღი, რომელშიც გამოყვანილ იქნა რაიონი[..]თი საუკეთესო ცხენი. გასარბენი [..]ძილი — 2 კილომეტრი პირველმა [..] ფარა თეკლათის კალინინის სახელ[..] კოლმეურნეობის მხედარმა ვ. შ[..]ვამ, შემდეგ — ამავე სოფლის კ[..]ვიჩის სახელობის კოლმეურნეობი[..] დრებმა.

შეჯიბრების ბოლოს შესდგა ტ[..]ციული მარულა. პირველი მივიდ[..]მო ჰალადიდის ბერიას სახელ[..] კოლმეურნეობის ცხენი „შურდუ[..]", მეორედ — ახალსოფლის სტალინი[..] ხელობის კოლმეურნეობის ც[..] „ალია" და მესამედ — თეკლათის [..]ლინინის სახელობის კოლმეურნე[..] ცხენი „კინტო".

შეჯიბრებას დიდძალი მაყურებ[..] დაესწრო.

ბ. მილიუტი[..]

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონ[..]

ჭადრაკი

ოსტატობის კანდიდატთა საკავშირო ტურნირი

მესამე ტური

დოლუხანოვისა და გოლდშტეინის ნაცვლად, რომლებიც არ ჩამოვიდნენ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის პირველი კატეგორიის მოჭადრაკეები — ღონღაძე და ბუსლაევი. ავადმყოფობის შემდეგ თამაშში ჩაება აგრეთვე შიშოვი, რომელმაც პირველ პარტიაში იშვიათი სიძლიერით ჩაატარა შეტევა ათარაპეტოვის წინააღმდეგ და დამსახურებულად გაიმარჯვა. ბუსლაევი დამარცხდა სოლმანისთან.

სუსტად თამაშობს ამ ტურნირში ფირცხალავა. მან ამჯერადაც ვერ შესძლო რთულ პოზიციაში გარკვევა და წააგო პარტია პეტროსიანთან. ტერ-პოღოსოვ-შერბაკოვის პარტია ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრება

შესდგა გადადებული პარტიების დამთავრება. ბლაგიძემ შეცდომა დაუშვა ენდშპილში აირაპეტოვის წინააღმდეგ და პარტია ყაიმით დასრულდა. ყაიმით დასრულდა აგრეთვე აირაპეტოვ-პეტროსიანისა და მუჩნიკ-გიორგაძის პარტიები. ალექსანდროვი დაამარცხა შერბაკოვმა, ღონღაძე — სოლმანისმა. ბუსლაევს მოსაგები მდგომარეობა ჰქონდა ალექსეევთან, მაგრამ ცაიტნოტში დაიბნა და დამარცხდა.

მეოთხე ტური

ტურნირის ლიდერმა სოლმანისმა შესძლო ალექსანდროვთან წაგებულ მდგომარეობაში მყოფი პარტიის გადარჩენა და ყაიმს მიაღწია. გიორგაძეს მოუგო ბლაგიძემ. ტერ-პოღოსოვმა პირველი დამარცხება იგემა თბილისელ ღონღაძისაგან. აირაპეტოვ-ალექსეევის შეხვედრა პირველის გამარჯვებით დამთავრდა.

ფირცხალავა-შიშოვისა და ლევიტას-პეტროსიანის გადადებულ პარტიებში უპირატესობა პირველთა ხელშია. ლიპნეცკი-ბუსლაევისა და შერბაკოვ-მუჩნიკის პარტიები გადადებულია გამოურკვეველ მდგომარეობაში.

ოთხი ტურის შემდეგ წინ მიდის სოლმანისი $3\frac{1}{2}$, პეტროსიანი $2\frac{1}{2}$ (1 გადადებული), ტერ-პოღოსოვი $2\frac{1}{2}$.

პიონერთა ბანაკი სოფელ ზვარე[..]

სოფელ ზვარეში (ორჯონიკიძის რაიონ[..]) ეწყო პიონერთა 21-დღიანი ბანაკი. სად[..] ვენებენ სამამულო ომში დაღუპულთა და [..]ლიდთა შვილები, სულ 100 ბავშვი.

ბანაკი დაკომპლექტებულია მომსახურე [..]სონალით.

ფეხბურთი

„სსრ კავშირის თასი" კვლ[..] „სპარტაკმა" მოიგო

გუშინ, 21 ივლისს, მოსკოვში „დ[..] სტადიონზე შესდგა „სსრ კავშირის [..] 1947 წლის გათამაშების ფინალური [..] ფეხბურთში. როგორც ცნობილია, „თას[..] თამაშების ფინალში გავიდნენ „ტორპედ[..] მოსკოვის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთ[..] გუნდები. ამ შეხვედრას უნდა გადაეწ[..] კვლავ მოიპოვებდა თუ არა პირველობა[..]ლი წლის „თასის" მფლობელი „სპარ[..] ინტერესს აძლიერებდა ის გარემოება, [..] ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობი[..] შეხვედრა „ტორპედომ" სპარტაკს მოუგ[..] გარიშით 6:1.

თამაშის 21-ე წუთზე დემენტიევმა 17 [..]რის მანძილიდან ძლიერი კუთხური დარ[..] გაიტანა პირველი ბურთი ტორპედოელთა [..]ში. თამაშმა მეტად დაძაბული ხასიათი [..] პირველი ტაიმის მე-40 წუთზე სპარტ[..] გლეზკოვმა ლამაზი თავური გარტყმით [..]რედ შეარხია ტორპედოელთა კარი. [..] პირველი ნახევარი დამთავრდა 2:0 სპარტ[..]თა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმს, მიუხედავად სპორტ[..] საინტერესო და დაძაბული თამაშისა, [..] არ მოჰყოლია. შეხვედრა დამთავრდა „სპ[..]კის" გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვი[..]**

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

22 ივლისს

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 17.40 — გადაცემა უფროსი ასაკის მოსწავლეებისათვის — დ. შამათავას მოთხრობები. 18.20 — კონცერტი თბილისის სახელმწიფო ოპერის სოლისტის არაქელოვის შესრულებით. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — კონცერტი. 20.45 — გადაცემა ციკლიდან „საქართველოს რაიონებში". 21.05 — კონცერტი რესპ. სახალხო არტისტ ბადრიძის შესრულებით. 21.20 — საბჭოთა პოეტების ლექსები. 23.00 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის შესრულებით.

კინოებში

22 ივლისს: რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი" და „კომკავშირელი" (საზაფხულო და ზამთრის) — „სად არის ჩემი ქალიშვილი"; „ამირანი" (საზაფხულო და ზამთრის), „სპარტაკი" და 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — „ანაიტ", (ზამთრის) — „ძველებური ვოდევილი", „კოლმეურნე" — „გერი".

სემინარი

22 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ნავთლუღის რკინიგზის კვანძის პარტკაბინეტში პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ამხანაგ სტალინის თხზულებათა მესამე ტომი".** სემინარს უხელმძღვანელებს ამხ. ვ. კალაძე.

23 ივლისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა".** სემინარს უხელმძღვანელებენ: ქართულ ენაზე ამხ. მირცხულავა, რუსულ ენაზე ამხ. ზახიევა.

23 ივლისს, საღამოს 5 საათზე, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკაბინეტში მომხსენებლებისა და პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ლენინისა და სტალინის ბრძოლა რუსეთსა და ამიერკავკასიაში მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის"** ლექციას წაიკითხავს ამხ. ვ. კალაძე.

ლექციები

22 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება პროფესორ ათაბეგოვის ლექცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტში.

23 ივლისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) შესდგება ამხ. **ლებანიძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„ვ. ი. ლენინის ბრძოლა რუსეთში მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის".**

24 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) შესდგება ამხ. **ტატიშვილის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".** ბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

მოქალაქე **პართენა ვასილის ასულმა მურადოვა-დელავერმა**, მცხოვრებმა დავითაშვილის ქ. № 1, აღძრა საქმე **ალექსანდრე ევგენის-ძე დელავერთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს უმაღლესი სასამართლო.

მოქალაქე **გიორგი საბას-ძე გიორგიევმა**, მცხოვრებმა მნათობის ქ. № 46, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნინო ირადიონის ასულ გიორგიევთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ტექნიკუმი 1947-48 სასწავლო წელს აწარმოებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: სამკერვალო მრეწველობის მექანიკური, ტექნოლოგიური დარგი და ფეხსაცმლის წარმოების ტექნოლოგია.

ტექნიკუმში მიიღებიან 14-დან 30 წლამდე ასაკის როგორც ვაჟები, ისე ქალები, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა (7-წლიანი ან 8-წლიანი) ან გამოსული არიან უფროსი კლასებიდან.

შემსვლელებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი და წერა), 2. რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი და წერა), 3. მათემატიკა (ზეპირი და წერა), 4. სსრკ კონსტიტუცია.

უგამოცდოდ მიიღებიან ფრიადოსნები, რომელთაც არასრული სკოლა დამთავრებული აქვთ 1947 წელს ან 1945 წელს.

განცხადების მიღება სწარმოებს 20 აგვისტომდე. გამოცდები იწარმოებს 21-დან 28 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მიღებულნი სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თავისუფლდებიან სწავლის პერიოდში. მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 210 მანეთამდე კურსების მიხედვით. სკოლასთან არსებობს დახურული სასადილო და საერთო საცხოვრებელი.

შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთები: 1. განცხადება, 2. განათლების მოწმობა, 3. დაბადების მოწმობა, 4. ჯანმრთელობის მოწმობა, 5. სამი ფოტოსურათი, 6. ავტობიოგრაფია.

ტექნიკუმი ამზადებს სამკერვალო წარმოების ტექნიკოს-მექანიკოსებს და ტექნიკოს-ტექნოლოგებს და ფეხსაცმლის წარმოების ტექნიკოს-ტექნოლოგებს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის მრეწველობისათვის; სპეციალობასთან ერთად ტექნიკუმი მოსწავლეს აძლევს საშუალო განათლებას და კურსდამთავრებულს ეძლევა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლება. სწავლის ვადა 4 წელია. ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 60, ტელეფონი № 3-26-66.

დირექცია

ნ. სტურუა, თ. კიკნაძე, ნ. კვირკველია, რ. თარგამაძე, მ. ლაღიძე იუწყებიან **ანდრომედა ივანეს ასულ რუხაძის** გარდაცვალებას.

დედა ვალენტინა, ბებია და ბაბუა ჰკუასელები იუწყებიან **ვაჟიკო ჰკუასელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-VII, 8 ს. გამოსვენება 24-VII, 6 ს. ძერჟინსკის, 22.

ს. ბოკუჩავა, ლ. გორგილაძე, ლ. ებან[..] გ. ქვანია იუწყებიან **შაქრო გიოს-ძე** [..]კაშვილის გარდაცვალებას.

მშობლები მელიტონ და ნინო, დები [..]ლა, ლამარა, ლეილა კორვალიძეები იუ[..]ბიან **ფოველი მელიტონის-ძე** კორვალ[..] გარდაცვალებას. გამოსვენება 22-VII, [..] დეპუტატის, 3.

დედა ქეთევან, და ირა, ძმა სიმონ, [..] ივანე, ბებია მარიამ იუწყებიან **ლიდ[..] ლეონის ასულ როსინსკაიას** გარდაც[..] ბას. გამოსვენება 22-VII, 6 ს. არსენა[..]

მშობლები კონსტანტინე და საშა თოფუ[..]ბი შვილებით, ჰამიდა მარიამ თევზაძ[..]ლებით იუწყებიან **გულნარა თოფუ[..]** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII [..]

ძმები ბიჭინა, სიმონ, კარპეზ ახვლედ[..] ოჯახებით იუწყებიან **სონა გრიგოლის** [..] **ცხვედიანის** გარდაცვალებას. გამოსვ[..] 24-VII, 6 ს. ქალაქის II საავადმყოფ[..] კამოს, 103.

გ. კუჭავაშვილი, ლ. ბარბაქაძე, მ. [..]ძე, გ. პეტროსიანი, რ. ივანესიანი, შ. [..]კაძე, მ. სამხარაძე, შ. ზაალიშვილი, [..]რგველაშვილი, გ. მნაცაკანოვი, ვ. [..]ლი იუწყებიან **ვასილ გვაზავას** გარდაც[..]ბას. გამოსვენება 22-VII, 6 ს. ფალ[..]ლის, 41.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-88, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის —3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 029..